საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 292/ს
06/09/2022

292-21-4-202209061611

ქ. ახალციხეში, შპს ,,არალის“ ასფალტის წარმოებისა და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ასევე ამავე კოდექსის II დანართის 5.3 ქვეპუნქტისა და I დანართის 29-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. ახალციხეში, შპს ,,არალის“ ასფალტის წარმოებისა და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N54;
2. შპს ,,არალი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N54 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,არალს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,არალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო